საქართველო
შ.პ.ს.
"ა.ფ. აუდიტცენტრი"

GEORGIA
L.T.D
"A.P. AUDITCENTER"

5400 წყალტუბო, რუსთაველის ქ. №25
მობ: 899-56-57-54

5400 Tskaltubo Rustaveli №25
mob: 899-56-57-54

№ 15-8.

"24" "ივლისი" 2016 წ.

საკონსულტაციო ა ქ ტ ი

1. შედგენის თარიღი: 24 ივლისი 2016 წ.
2. შედგენის ადგილი: ქ. წყალტუბო.
3. კონსულტაცია შედგენილია: შპს "ა.ფ. აუდიტცენტრი"-ს (სერთიფიკატი ზ/№5\361 გაცემული საქართველოს პარლამენტთან არსებული სააუდიტორო საბჭოს მიერ) აუდიტორის მიერ, სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლის დირექტორის შ. კუბლაშვილის 2016წლის 21 ივლისის MES 61600896386 წერილის შესაბამისად.
4. კონსულტაციის მიზანი: სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლის ამორტიზირებული შენობა–ნაგებობების დაშლის შემდგომ დარჩენილი სამშენებლო მასალების და შეშის რაოდენობის განსაზღვრა, შესაბამისად მათი ღირებულების დადგენა და შენობა–ნაგებობების დაშლა–გატანისათვის გაწეული ხარჯის განსაზღვრა.

საკონსულტაციოდ წარმოდგენილია: სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლის საკუთრებაში რიცხული ამორტიზირებული შენობა–ნაგებობები .

დათვალიერებითა და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა შემდეგი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იმერეთის –რაჭა–ლეჩხუმის–ქვემო სვანეთის მომსახურეობის ცენტრი არ არის წინაღმდეგი სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ამორტიზირებული შენობების ჩამოწერაზე და დემონტაჟზე არსებული წესისა და საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად.

საჯარო სკოლის საინვენტარიზაციო კომისიის მიერ დადგინდა რომ აღნიშნული შენობა–ნაგებობები აგებულია მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში და სკოლის შემდგომი ფუნქციონირებისათვის გამოუყენებელია. ამასთან გასათვალისწინებელია შემდეგი: 1) საძინებელი კორპუსი თავის დროზე იყო სამ სართულიანი, რომლის ზედა ორი სართული მთლიანად დანგრეული და ჩამოშლილია, ხოლო ჩამოშლის შემდგომ ნარჩენებით შევსებულია მისი პირველი სართული და დაფარული არის შენობის დარჩენილი პირველი სართული, როგორც წერილიდან ირკვევა დაშლა დემონტაჟის შემდგომ დარჩება სამშენებლო მასალები კერძოდ სამშენებლო ბლოკი კირქვა–1500 ცალი და ტუფის ქვა–2000 ცალი. 2) აბანო სამრეცხაოს შენობა ნაშენია კირქვით, აგურით და ე.წ. „გვიშტიბის" ბლოკით, გადახურვა შიფერით, რომლის დიდი ნაწილი დამტვრეულია, დაშლა დემონტაჟის შემდგომ დარჩება სამშენებლო ბლოკი–1000 ცალი, აგური–14000 ცალი სიმკარი–14 ცალი, კირქვა–215 ცალი, შიფერი–90 ცალი და ხეშეშა– ერთი კუბმეტრი. 3)ტრაქტორის მართვის კაბინეტის შენობიდან დარჩენილია კედლის ერთი ნაწილი, რომლის დაშლის შემდგომ დარჩება საშენი ბლოკი–300 ცალი,. 4) სამედიცინო პუნქტის შენობა აშენებულია „გვიშტიბის ბლოკით და

დიდი ნაწილი ფიცრულია, გადახურვა შიფერით, მისი დაშლის შემდგომ დარჩენილი სამშენებლო მასალა: სამშენებლო ბლოკი–950 ცალი, შიფერი–100 ცალი, და ხეშეშა ორი კუბმეტრი.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული შენობის ნარჩენები დაფარულია ხე ბუჩქნარით, რისი მოშორება და გატანაც სერიოზულ მძიმე ტექნიკას და დანახარჯებს მოითხოვს. (ამასთან გასათვალისწინებელია დაშლა დემონტაჟის დროს კანონით გათვალისწინებული უსაფრთხოების წესები)

დასკვნა: ზემოთ აღნიშნული დაკვირვებით, ქონების ლიკვიდურობისა და ბაზარზე არსებული კონეუქტურის გათვალისწინებით დარჩენილი სამშენებლო მასალების ღირებულება შეადგენს: 1)კირქვა1715 ცალი–857ლარი, 2) ტუფის ქვა2000 ცალი–3000 ლარი, 3)სამშენებლო ბლოკი 2250 ცალი–900 ცალი. 4) აგური 14000 ცალი– 2800ლარი. 5)სიმკარი14 ცალი–640 ლარი. 6)შიფერი მეორადი190 ცალი–570ლარი. 7)ხე–შეშა 3კუბმეტრი–100ლარი. ხოლო დაშლა დემონტაჟისა და ტერიტორიის გასუფთავების ხარჯები შეადგენს 5000 ლარს.

შპს "ა.ფ. აუდიტცენტრის" დირექტორი: ფ. ციბაძე